ევროკავშირის საბჭო საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება 2008/901/CFSP

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის შესახებ

ევროკავშირის საბჭომ,

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების, კერძოდ კი, მისი 13(3) მუხლისა და 23(1) მუხლის გათვალისწინებით,

(1) 2008 წლის 01 სექტემბერს ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ ევროკავშირი მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და გრძელვადიანი მოგვარების უზრუნველყოფის ყველა მცდელობას, და რომ ის მზად არის მხარი დაუჭიროს ნდობის აღდგენის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.

(2) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების ჩატარების იდეას საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით.

(3) ქ-ნი ჰაიდი ტალიავინი უნდა დაინიშნოს ფაქტების დამდგენი ამ მისიის ხელმძღვანელად,

გადაწყვიტა შემდეგი:

მუხლი 1

ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელი და უფლებამოსილების ვადები

1. ქ-ნი ჰაიდი ტალიავინი დაინიშნა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (შემდგომში - "ფაქტების დამდგენი მისია") ხელმძღვანელად 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2009 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში.

2. ფაქტების დამდგენი მისიის მიზანია გამოიძიოს საქართველოში მომხდარი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი მიმდინარეობა, მათ შორის საერთაშორისო სამართალთან (1), ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებებისა და ამ კონტექსტში გამოთქმული ბრალდებების (2) მიმართებაში.

გამოძიების გეოგრაფიული არეალი და დროის ინტერვალი საკმარისად ვრცელი იქნება იმისათვის, რათა განისაზღვროს კონფლიქტის ყველა შესაძლო მიზეზი. გამოძიების შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება კონფლიქტის მხარეებს, საბჭოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა (ეუთო) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაერო).

3. ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება ფაქტების დამდგენი მისიის განხორციელებაზე. იგი სრულიად დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაქტების დამდგენი მისიის პროცედურებს, მუშაობის მეთოდებსა და მედ 2-ე პარაგრაფში მითითებულ ანგარიშის შინაარსს.

მუხლი 2

დაფინანსება

1. 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2009 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში ფაქტების დამდგენი მისიის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად გამოყოფილი იქნება თანხა 1 600 000 ევროს ოდენობით.

2. პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული თანხით დაფარული იქნება 2008 წლის 2 დეკემბრის შემდგომ გაწეული ხარჯები.

3. ხარჯების მართვა მოხდება იმ წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს ევროპის სახელმწიფოთა საერთო ბიუჯეტისათვის. ხარჯების მართვა უნდა განხორციელდეს

ფაქტების დამდგენის მისიის ხელმძღვანელსა და კომისიას შორის გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში. ვინაიდან:

4. ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული იქნება კომისიის წინაშე ყველა გაწეული ხარჯისათვის.

მუხლი 3

ფაქტების დამდგენი მისიის შემადგენლობა

ფაქტების დამდგენი მისიის შემადგენლობა გადაწყვეტილებას ფაქტების დამდგენი მისიის შემადგენლობის შესახებ მიიღებს მისიის ხელმძღვანელი. მისიის შემადგენლობა უნდა მოიცავდეს აღიარებულ ექსპერტებს, განსაკუთრებით კი სამართალმცოდნეებს, ისტორიკოსებს, სამხედრო პირებსა და ადამიანის უფლებათა ექსპერტებს. მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: მუხლი 4

მუხლი 4

შეფასება

ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელი და მისი უფლებამოსილების ფარგლები წინამდებარე გადაწყვეტილების განხორციელება განხილული იქნება საბჭოს მიერ 2009 წლის 31 ივლისამდე.

მუხლი 5

ძალაში შესვლა და ვადის გასვლა

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან. მისი ვადა ამოიწურება 2009 წლის 31 ივლისს.

მუხლი 6

გამოქვეყნება

წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. შესრულებულია ბრიუსელში, 2008 წლის 2 დეკემბერს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

ქ. ლაგარდი

(http://eur-ex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:323:0066:0066:EN:PDF)